აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 52

23/10/2016 წელი **ქ. ბათუმი**

ზოგიერთი საარჩევნო საბუთის სახის დადგენის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. იმ საარჩევნო უბნებზე სადაც იმართება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური, გამოიყენება „საქართველოს პარლამენტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით და მერის/გამგებლის რიგგარეშე 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისა და საკრებულოს შუალედური 2016 წლის 30 ოქტომბრის არჩევნებისათვის კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 20 ოქტომბრის №537განკარგულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის ფორმა.

2. დამტკიცდეს საკონტროლო ფურცლის ფორმა დანართის შესაბამისად, იმ საარჩევნო უბნებისათვის რომლებშიც ტარდება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი